საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

კვირა, სექტემბრის 11
1921 წ.
ფასი 500 მანეთი

№ 19

20
ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 10,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ფურცელაძე შვილებით და რძლითა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ დაუვიწყარ პირველის ცოლის და მეორების დედის

**სოფიო დავით ს ასული ფურცელაძისა**

ორმოცის წირვა და შემდეგ პანაშვიდი იქნება გადახდილი დიდუბის ეკლესიაში კვირას, სექტემბრის 11-ს. პანაშვიდი დაიწყება 12 საათზე.
1285

## საქართველოს დამოუკ. დემოკრატია და მსოფლიო რევოლუცია.

საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა არასოდეს არ ყოფილა ისეთი პირდაპირი და მძლავრი ქართველ ხალხში, როგორც დღეს. ეს იდეა ყველაფერს ფარავს ეხლა, ყველაფერზედ ბატონობს; ის გადაიქცა მთავარ ფოკუსად, რომლის გარშემო ტრიალებს მთელი ქართველი ერის აზრი და ფიქრი, მისი სურვილები, მისი იდეალი. ყოველი მოვლენა ფასდება ქართველი კაცის შეგნებაში დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. ზოგიერთისათვის მაინც ეს იდეა პირდაპირ ფეტიშად გადაიქცა და ჰგონია თითქოს დამოუკიდებლობა ერის ერთად ერთი მიზანი იყოს და არა საშუალება; თითქოს ერი არსებობდეს დამოუკიდებლობისათვის და არა პირიქით,—დამოუკიდებლობა ერისათვის.

ცხადია, ეს აბსურდამდე მისული უკიდურესობაა, ეს უარყოფაა ერის დამოუკიდებლობისათვის. პირიქით დამოუკიდებლობა საშუალებაა ერის არსებობისა და მისი განვითარების უზრუნველსაყოფად. ამიტომ იბრძვის ერი, როცა ამ საშუალებას მოკლებულია, ან აქვს, მაგრამ ართმევენ.

სრული დამოუკიდებლობა, რასაკვირველია, ფიქციაა. აბსოლუტურად სუვერენობას მხოლოდ თეორიაში აქვს ადგილი. სინამდვილეში კი არ არსებობს არც ერთი სახელმწიფო, რომელიც თავის მოქმედებაში ზოგჯერ მაინც არ განიცდიდეს გარეშე იძულებას. საერთაშორისო ურთიერთობაში ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მოქმედობს თავისუფლად, თუმცა თეორიულად მათი სუვერენობა არაა შეზღუდული. ზოგჯერ სუვერენული სახელმწიფო იძულებულია ისეთი საგარეო ხელშეკრულება დასდოს, რომელიც მას მოხარკედ ხდის. ზოგჯერ თვით მთავრობაშიაც ხდება ცვლილება გარეშე გავლენით. ასეთია თანამედროვე სახელმწიფოების სუვერენობა.

მიუხედავად ამისა სახელმწიფო მაინც ითვლება სუვერენულად, სანამ მას მიმართავენ წინადადებებით, რჩევით, ულტიმატუმით და არა ბრძანებით. ზოგჯერ არამც თუ ულტიმატუმს, რჩევასაც ბრძანების ხასიათი აქვს. მაგრამ ფორმალურად სახელმწიფოს მაინც უფლება რჩება მიიღოს ის, ან უარყოს. რასაკვირველია, რომ უარყოს ძალიან მიელებინებენ და ამიტომ იძულებულია მიიღოს. მაგრამ ეს იძულება არ სპობს სუვერენობას. ზღუდავს კი ძლიერ. ამ რიგად, სანამ სახელმწიფოს შერჩენია ფორმალური უფლება—არ დაეთანხმოს გარეშე ძალას,—მანამ შეიძლება ის სუვერენულად ჩავსთვალოთ. მართალია ასეთი სუვერენობა მოჩვენებითია, მაგრამ ერი ურიგდება მას ძალაუნებურად და ცდილობს თავი დააღწიოს ასეთ მდგომარეობას.

ამ მდგომარეობაშია ყველა პატარა ერები და მათ შორის საქართველოც. დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა საქართველო თავის თავს სუვერენულად სთვლის, მაგრამ არ შეეძლია აწარმოვოს თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკა. არც დიდ სახელმწიფოებს, ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას შეეძლოთ აწარმოვონ დამოუკიდებელი პოლიტიკა, მაგრამ ისინი ერთად ჰქმნიან ამ პოლიტიკას, ცდილობენ შეთანხმებას, საქართველო კი ამასაც მოკლებულია. ის იძულებულია მხარი დაუჭიროს ან ერთ მხარეს, ან მეორეს. მენშევიკების დროს საქართველო განიცდიდა ანტანტის დიდ გავლენას და ძალაუნებურად უნდა ყოფილიყო მის მხარეზედ. ჩვენ ნეიტრალობას ითმენდენ და ურიგდებოდენ სანამ ეს მათთვის საჭირო და სასარგებლო იყო ან ყოველ შემთხვევაში ხელს არ უშლიდა. მაგრამ ანტანტა არც ამით კმაყოფილდებოდა და ჩვენ შინაურ საქმეებშიაც ერეოდა. მისი მოთხოვნით შეჩერებულიქნა სომხების დამარცხებულ ჯარების დევნა. მისი მოთხოვნით გაან თავისუფლეს ძველის ხიდის ამფეთქებელნი, რომელსაც უკვე სასამართლოს მიერ ჰქონდა სასჯელი მისჯილი და სხვა მრავალი მაგალითებია ასეთი. თუ რამდენად პატივსა სცემდა ინგლისი დამოუკიდებელ საქართველოს, ამის მაჩვენებელია ბათუმის დანგრეული ფორტები, რომელიც ინგლისის ჯარმა ააფეთქა წასვლის წინ, სახელმწიფოს დამოუკიდებლობას სცნობენ და შინ მის საკუთარ ფორტებს უფეთქებენ!

მაგრამ სუსტი საქართველო ყველაფერს იტანდა, ემორჩილებოდა ანტანტის კარნახს და რომ ემორჩილებოდა, სწორედ ამიტომ აიშორა თავიდან შეტაკება.

შემდეგ წავიდა ანტანტა, დაშორდა საქართველოს, მაგრამ სამაგიეროდ მოუახლოვდა, მეზობელი გახდა რუსეთი, საქართველო არ დაემორჩილა რუსეთის გავლენას, როგორც ანტანტისას და მოხდა შეტაკება. რუსეთმა რევოლუციონური ძალდატანებით დააყენა საქართველო თავის გავლენის ქვეშ. გასაგებია, რომ ამ აქტს ორნაირად აფასებენ. ანტანტის მომხრეები ყვირიან დამოუკიდებლობის დაკარგვაზედ, რევოლუციის მხარეზედ მდგომნი კი აქ ხედავენ მხოლოდ ორიენტაციის შეცვლას. მართალია ეს მოხდა იძულებით, მაგრამ ასეთივე იძულებითი იყო არსებითად ანტანტის ორიენტაციაც.

ვინაიდან საქართველოს არ შეუძლია თავისი საერთაშორისო პოლიტიკა აწარმოვოს და იძულებულია მსოფლიო მასშტაბით მომქმედ ერთ-ერთ ძალას დაუკავშირდეს—სჯობია ისევ დაუკავშირდეს ისეთ ძალას, რომელსაც მომავალი აქვს, ასეთი ძალაა სოციალისტური რევოლუცია. ჩვენ ეს ფაქტი მიგვაჩნია საქართველოსათვის ბუნებრივად და შესაფერად, ვინაიდან საქართველოში ბატონობა შეუძლია მხოლოდ მშრომელთა კლასს. და ნუ თუ წარმოსადგენია, რომ მშრომელთა საქართველოს მეტი საერთო ჰქონდეს ანტანტასთან, ვიდრე ბოლშევიკურ რუსეთთან და საერთაშორისო სოციალისტურ ძალებთან?

რომელი მოკავშირე მეტ თავისუფლებას დაუტოვებს საქართველოს, მონათესავე სოციალისტური ძალა, თუ მოწინააღმდეგე იმპერიალისტური? შეურიგდება თუ არა საბოლოოდ ანტანტა სოციალისტური საქართველოს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას? აბა რა საფიქრებელია!

მართალია დღეს ჩვენი დამოუკიდებლობა ძალზე შეზღუდულია და არც კი ემჩნევა ის სახელმწიფოს, მაგრამ ამის მიზეზია უცხო ელემენტების და უცხო ენის ბატონობა სახელმწიფო დაწესებულებებში, რაც დროებითი მოვლენაა და ჩქარა უნდა იქნას თავიდან აშორებული. რაც უფრო მალე მოჰკიდებს ქართველი ხალხი ხელს თავის სახელმწიფო საქმეებს, მით უფრო მალე იგრძნობს სრულ დამოუკიდებლობას. ხოლო თუ უცხო ელემენტებს მიანდობს თავის საქმეს, მაშინ ბრალიც თვითონ უნდა იღოს თავზედ.

ომეგა.

## ნაციონალური პოლიტიკა

ნაციონალური პოლიტიკის ცნებას არასდ იმდენი გაუგებრობა არ გამოუწვევია რამდენიც საქართველოში. ეს ბუნებრივია. მთელი საუკუნის განმავლობაში გაუქმებული იყო ქართული სახელმწიფოს აპარატი, რუსის სახელმწიფომ დაჩრდილა სუბსტანციური არსება საქართველოს სახელმწიფოს იდეისა.

იმ სისტემატიურმა დევნამ, რომელსაც ეწეოდა რუსეთის იმპერია საქართველოს სახელმწიფოს ნაშთების მიმართ ქართველ ხალხს სავსებით გადაავიწყა ეროვნული სახელმწიფოს სიყვარული. მესამოცე წლებში, თავად აზნაურულ წრეებიდან გამოსული ინტელიგენციის „მოგონება" რომანტიული იყო. იმ პატრიოტულ მიმდინარეობას საქართველოში, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა, ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საქართველოს ნაციონალურ პოლიტიკაზე. ეს იყო ტრადიციონალური ლეგენდარული საქართველოსადმი. კონკრეტულად არც ილიასა და არც მის ჯგუფს წარმოდგენილი არა ჰქონდათ, თუ როგორ უნდა დაემყნათ ქართულ სინამდვილეზე თავიანთი რომანტიული ნაციონალიზმის იდეები.

მათ წარმოდგენილი ჰქონდათ არქაიული საქართველო ტრადიციული წყობისა და ნაშენობის. მათ თვით არ სჯეროდათ ამ საქართველოს გაცოცხლება, მაგრამ თუ ეს წარმოსადგენი იქნებოდა, მაშინ უნდა აღდგენილიყო საქართველო ძველი საზოგადოებრივი წყობით. ამ გარემოებამ შექმნა ზღაპარი, თითქოს თავისუფალი საქართველოს იდეა თავადაზნ. საქმეა. ნაციონალისტების მოწინააღმდეგე ელემენტები საქართველოში 30 წელი არწმუნებდნენ ქართველ ხალხს, რომ საქართველოს სახელმწიფოს რესტავრაციას უსათუოდ უნდა მოჰყოლოდა ძველი ფეოდალური წყობილების აღდგენა.

ამავე ნიადაგზე შეიქმნა ქართველ მარქსისტების წრეში ისეთი ილიუზია, თითქოს ნაციონალური ინტერესები დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდეს კლასობრივს. უკეთ ვთქვათ ამ დებულებიდან დაასკვნიდნენ: ნაციონალური ინტერესი ეწინააღმდეგება კლასობრივ ინტერესს, ერთის ზრდა მეორის კლებას და გაქრობას უდრისო.

ისინი დამოუკიდებელი აზროვნების უნარის უქონლობით ვერ სჭრიდენ ნაციონალურ პრობლემას რადიკალურად. დამოუკიდებელი საქართველოს 3 წლის არსებობამ დაანახვა ქართველ ხალხს, რომ ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა არ ნიშნავს არც ბატონობის აღდგენას, არც რევოლუციის ღალატს.

[illegible]ველი ინტელიგენციის გაერთიანება საქართველოს იდეის გარშემო ჯერაც დასრულებული არაა. ქართველი ინტელიგენცია ერთი წრე კიდევ ვერ გამორკვეულა ამ პრობლემათა ფოკუსში. ამითი აიხსნება ას ეროვნული ძალების გათიშვა, რომელსაც ვამჩნევდით გუშინ და ვამჩნევთ ეხლაც. ამ მიზეზით, გვიანდება დღეს საჭირო საქართველოს სახელმწიფოს კრისტალიზაცია. დღეს ჩვენი ცხოვრება უკიდურესი კრიზისით ხასიათდება. კრიზისია პოლიტიკურად, რადგანაც მარტო პარტიას ვერ მოუხერხებია შესათანხმებელ ეროვნულ ძალების მობილიზაცია. ტფილისში სტალინ ჯუღაშვილი ქართველ მუშებს მოუწოდებს „თავი გაუჭყლიტონ ნაციონალისტურ გველეშაპს." ეს საყურადღებო მოწოდებაა, მაგრამ ვინაიდან საქართველოში დამპყრობი ნაციონალიზმი არ არსებობს, ხოლო ქართული ნაციონალიზმი დაჩაგრულ ერის ნაციონალიზმია, რევოლუციური და დადებითი, ამიტომ ჩვენც ვასწორებთ ჯუღაშვილის მოწოდებას. დიახ, თავი უნდა გაუჭყლიტოთ უცხო ნაციონალიზმის გველეშაპს. რადგანაც ეს გველეშაპი რუსის იმპერიის დამხობით არ მომკვდარა, ამ რუსული ნაციონალიზმის იდეოლოგები თუმცა დღეს პარიზში დაეხეტებიან, მაგრამ მათი მიმდევრები დღესაც მოიპოვებიან საქართველოში ისინი უვნებლად მოკალათებულნი იყვნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაწესებულებებში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისას ამ ხალხმა წარმოიდგინა, რომ ბოლშევიკებთან ერთად ძველი რუსეთი მიდის საქართველოში. ეს ვიგინატონები დღესაც ახერხებენ ძველი საქმის კეთებას.

და როცა რომელიმე დაწესებულებებში ქართული ენა,—როგორც სახელმწიფო ენა შემოღებული იქნება—ისინი ყვირილს ატეხენ, ქართველი ნაციონალიზმის კაცისჭამიობაზე. დღეს თეორიული კამათის დრო აღარ არის. რასაც ჩვენ, ნაციონალური პოლიტიკის იდეოლოგები ვამბობთ ეს სულ მარტივი ამგვარი: თქვენ თუ გულწრფელად გინდათ საქართველო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა, უწინარეს ყოვლისა უნდა შეუთანხმდეთ საქართველოში არსებულ სოციალისტურ ეროვნულ ძალებს.

ტფილისელი სახელმწიფო დაწესებულებებში სავსეა მოსული ელემენტებით, რომელნიც ხელს უშლიან სახელმწიფო დაწესებულებების ნაციონალიზაციას, რომელიც არაა ერთხელ მოუწონებია საქართველოს რევკომსაც დეკრეტებში.

ვინ არ იცის, რომ საქართველოში ინტელიგენცია პროცენტულად გაცილებით მეტია, ვიდრე რუსეთში, ისიც დღეს როცა უდიდესი ნაწილი რუსის ინტელიგენციისა გაქცეულია რუსეთიდან მაგრამ ჩვენი პროლეტარული ინტელიგენცია უსაქმოდაა, უცხოელები კი საქმეებშია. ინტელიგენცია ისე მცირე იყოს როგორც აზერბაიჯანში, კიდევ გამართლდებოდა, რომ უცხო ელემენტებით დაწესებულები სავსეა.

მალე შვიდი თვე შესრულდება რაც საბჭოთა საქართველო არსებობს. ჯერაც არ არის გამორკვეული ამ სახელმწიფოს საზღვრები მეზობელ რესპუბლიკებთან, ეს საკითხი ჩვენთვის მარტოოდენ პოლიტიკური საკითხი როდია, არამედ ეკონომიური და ადმინისტრატიულიც. ნუ თუ არ უნდა ვიცოდეთ ფარგლები ქართული ფულის ცირკულაციისა

ნუ თუ არ უნდა ვიცოდეთ, რომელ ფარგლებში ვრცელდება დღევანდელი მთავრობის ბრძანებანი?

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოში მხოლოდ ის პარტია შემოიკრებს თავის გარშემო ეროვნულ სოციალისტურ ძალებს, რომელიც მოახერხებს საუკუნის განმავლობაში საქართველოს „სხეულზე" გაჩენილ ეროვნული ტკივილების მოშუშებას. დღეს კომუნისტური პარტია ნაციონალისტურ საკითხში ისეთსავე სტადიას განიცდის როგორსაც მენშევიკები 1918 წლის პირველ ნახევარში.

ქართველი კომუნისტები მენშევიკებს აწუნებდნენ ეროვნულ პოლიტიკას, მაგრამ დღეს ესენიც ხედავენ რომ ეროვნული საკითხი რამდენადაც თეორიულად მარტივია, იმდენად ძნელია პრაქტიკულად. რაც გინდ იდეალური სახელმწიფო სისტემა დამყარდეს ეროვნული პოლიტიკის უარყოფა შეუძლებელია. რომელი კლასიც, პარტიაც არ უნდა გახდეს საქართველოს პოლიტიკურ სადავეთა მპყრობელი იგი ვერ უარყოფს ეროვნულ საკითხს.

ჩვენ გვეუბნებიან: „ეროვნული საკითხი ერთი მთავარ საკითხთაგანია, მაგრამ ის ყოველ შემთხვევაში მხოლოდ საკითხია და არა ერთი მთლიანი პოლიტიკა". გახსენით შიგნი ამ სიტყვებისა და თქვენ მიიღებთ: ეროვნული საკითხი დროებითი ეფემერულია. ამ სიტყვების ავტორს ჰგონია, რომ თითქოს ამ საკითხზე უფრო რთული მიზნები არსებობდეს ერისათვის.

ასეთივე აზრების სფეროში იშვება ისეთი გაუგებრობა, რომლის წყალობითაც ერთი მეორეში ურევენ პარტიულ და ეროვნულ პოლიტიკას. პარტიული პოლიტიკა ერთი ბორბალია იმ საერთო მანქანათა სისტემისა რომელსაც ეროვნული პოლიტიკა ეწოდება.

ეროვნული პოლიტიკა ცვალებადია და არა ეფემერული.

პრობლემა სოციალიზმისა, კომუნიზმისა ეს გახლავთ ერის შინაგანი განწყობილების საკითხი, ჩვენ თუ სოციალისტები ვართ, ჩვენ ეს საკითხები ეფემერულად უნდა მიგვაჩნდეს, რადგან როცა ერი მიაღწევს იმ იდეალურ სტადიას, რომელსაც სოციალისტური წყობა ეწოდება, იგი ამით არსებობს და განვითარების როლი შეწყვეტს, წინააღმდეგ მისი განვითარების პროცესი რთულდება და ძლიერდება, იგი უარყოფს ძველ ნაციონალურ მიზნებსა და ინტერესებს, იგი შედის ახალ ინტერესთა სფეროში, ეროვნული პოლიტიკა ამგვარად უფრო ხანგრძლივია, ვიდრე პარტიული. როცა ეს მარტივი ჭეშმარიტებანი, რომელნიც გამომდინარეობენ სადღეროვნულ პოლიტიკიდან და დღევანდელ სინამდვილიდან, საქართველოში არც ერთი ჯგუფისა და პარტიისთვის საკამათო არ იქნება, მაშინ დასრულებული იქნება ძალთა შეთანხმება და ძალთა კონსოლიდაცია საქართველოში. მაშინ ყოველი ელემენტი უზრუნველყოფილი იქნება ხელი გაშლილი იმუშაოს სათვის და საქართველოში არ დარჩება ქართული ძალა, რომელიც მახვილს აიღებდეს არსებული წყობილების დასამხობად.

სწორედ ამიტომ საჭიროა საქართველოს და ქართველი ხალხის სიყვარულმა გამოაძებნინოს დღეს გათიშულ ქართულ პარტიებს გზები გაერთიანებისა და შეთანხმებისაკენ. მხოლოდ ასეთი გზით იქნება ჩვენი მუშაობა ნაყოფიერი.

ოლაფ.

## ხმალი და ჩაქუჩი

ყოველ რევოლუციას ორი იარაღი თან უნდა ახლდეს—ხმალი და ჩაქუჩი, პირველით ის გზას უნდა იკაფავდეს კონსერვატორიულ-რეაქციონური ძალისაგან, ხოლო მეორით იგი უნდა სჭედდეს ახალი ცხოვრების ფორმებს, ახალი ორგანიზაციის სტრუქტურას. თუ ხმალით არ იქნა მოკვეთილი საზოგადოე-

ბრივი ორგანიზმიდან ხორცმეტი, რომელიც ამყავებს ამ მიანთა ცხოვრებას, ისე მარტო ჩაქუჩი ვერ აფერხებს გამოსჭედს მშრომელ ხალხის საკეთილდღეოდ, მაგრამ რევოლუციის პირველი პერიოდის ამოცანები და ხმლის ფრიალი უშედეგოდ დარჩება თუ მყისვე არ ამოძრავდა ჩაქუჩი და მან არ დაამკვიდრა რევოლუცია. რევოლუცია ცეცხლით და მახვილით მოსპო ძველი რუსეთის არეს და კიდეც შეძლო მისი გაწმენდა, ახლა რუსეთი ჩაქუჩით უნდა დაუბრუნდეს მშენებლობის საქმეს, რომ დაამკვიდროს რევოლუციის პროცესი.

ჩვენ ვიცით, რომ ასეთი გზით მიდის დღეს რუსეთის ცხოვრება. ეჭვი არ არის დღეს არ გამოადგება პირველყოფილი ჩაქუჩის ხმარება და განვითარებული ტეხნიკა. საჭიროა თავისი სპეციებით, ხოლო ყოველივე ამის შექმნისათვის უმაღლესი სასწავლებლების სათანადო სიმაღლეზედ დაყენება საჭიროა.

ჩვენ ქართველები ჩვენი ისტორიული ბედის წყალობით, ყველაზედ უფრო ვსაჭიროებთ მეცნიერულ მომზადებას და განსაკუთრებით ტეხნიკური ცოდნის დიდათ გავრცელებას, რომელმაც უნდა იხსნას ჩვენი ქვეყანა ყოველ დროს და ყოველ შემთხვევაში.

დღეს ჩვენთვის მეცნიერებას არა მარტო კულტურული ღირებულება აქვს, არამედ იგი თავის თავად აუცილებელი საშუალებაა რევოლუციური შემოქმედებისა, რევოლუციის მონაპოვართა გამტკიცების.

ტეხნიკა და სოციალური მეცნიერება ორი დასაყრდენია, რომელზედაც უნდა აშენდეს ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის საშუალებით უნდა გადავიდეთ ახალ სოციალურ ფორმაციაში.

საქართველოს ეკონომიური რესურსები და მისი ტეხნიკური საშუალებები ფრიად უნუგეშო სურათს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის.

შემცდარია ვინც ფიქრობს, რომ მარტო რევოლუციას შეუძლია ქვეყნის ხსნა და მისი კეთილდღეობა. რევოლუცია თავის თავად გზას კაფავს ფართო და ნაყოფიერი შემოქმედებისათვის და ყოველი ერი, ყოველი ქვეყანა საკუთარი მეურნეობით უნდა იყოს გამაგრებული, რომ მან შესძლოს არსებობა და დაცვა ძირების.

ცხადია, ევროპაში ზეგ რევოლუცია კიდეც რომ დასრულდეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ბატონის ნავთსადგურით ავივსებით ყოველივე სიმდიდრით, რომელიც უნდა მოგვიდეს საკუთარი წარმოების დაუხარჯავად.

პატარა ერის ბედი, მისი პოლიტიკური ცხოვრება დღეს უპირველესად დამყარებულია მის კულტურულ დონეზედ, რითაც მას საშუალება ეძლევა არსებობის პირობათა მოპოვებისა.

დიდ ერს, სახელმწიფოს შეუძლია მილიტარული პოლიტიკით ისაზრდოოს, დაპყრობილ ქვეყნების გაცარცვით იარსებოს, როგორც ამას ძველად რომი შვრებოდა და დღესაც ბევრი შვრება, ხოლო პატარა ერის ბედი მის კულტურაზეა გადაწვენილი, მის რეალურ ძალებზე დამყარებული.

ამიტომ დღეს, როგორც რევოლუციის, ისე ერისა და სახელმწიფოს ინტერესები უმაღლეს განათლების ფართოდ განვითარებას მოითხოვს. რევოლუციის პირველმა იარაღმა, ხმალმა, ჩვენში და რუსეთში თავისი მისია შეასრულა. მან ფართო ასპარეზი გადაუშალა მუშათა კლასს შემოქმედებისათვის; მაგრამ არავინ უნდა იფიქროს, ვითომც მეორე იარაღის ხმარება, ჩაქუჩის, ე. ი. აღმშენებლობის პროცესმა ჩაახშოს რევოლუცია. ეს პერიოდი რევოლუციური შემოქმედებისა გაცილებით უფრო ძნელია, გაცილებით უფრო მრავალმხრივი და დიდათ სამძიმო, ვიდრე პირველი პერიოდი, ხმლის პერიოდი.

ამიტომ მთელი ყურადღება უნდა იყოს მიპყრობილი საზოგადოებრივი ძალების დარაზმვისაკენ, ფართო მასშტაბით უნდა იქნეს წარმოებული ტეხნიკური ცოდნის გავრცელება და უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს უმაღლეს სასწავლებელთა უზრუნველყოფას.

რევოლუციის პირველ პერიოდს წითელი ჯარი და წითელი გენერლები ხელმძღვანელობდნენ, მეორე პერიოდის პიონერები წითელი ეკონომისტები, ტეხნიკები, აგრონომები და მეცნიერები უნდა იქნენ. თუ ეს ასე არ მოხდა, რევოლუციის ხმალი შუაზე გადატყდება და რევოლუციის იდეა ისტორიის ფურცლების ლამაზ გვერდათ დარჩება.

ვიმეორებ, ჩვენში მეტად ცუდი პირობებია ამ მხრივ. ჩვენში ამ საქმეს თავიდან დაწყება ესაჭიროება. ჩვენ ახალი კადრი უნდა შევქმნათ, ახალი ძალები უნდა გამოვიყვანოთ სამოქმედოდ. ეს ძალები დღეს მხოლოდ პოტენციაშია. იგი სტუდენტობის სახით არსებობს საქართველოს ცხოვრებაში.

მაგრამ... სამწუხაროდ ჯერ ამ მხრივ, ამ სამი წლის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა. ჩვენს პრესაში რამდენიმე წერილი იყო დასტამბული, რომელიც ბევრ მასალას გვაძლევს იმის შესახებ, თუ როგორი იყო მთავრობის ყურადღება უმაღლესი განათლების მიმართ. მეტად სამწუხაროა ასეთი მდგომარეობა, იგი მეტად დამაფიქრებელია.

მენშევიკები ვერ იხსნა „საგანგებო რაზმმა“ ისე, როგორც ძველი რუსეთი ვერ იხსნა „ჟანდარმერიამ“. ვერც „ჩეკა“ იხსნის რევოლუციას, მას დღეს სხვა იარაღები ეჭირვება. ცუდად წავა რევოლუციის საქმე, თუ ინტელიგენცია და სპეცები არ ჩაება რევოლუციის ფერხულში და მუშათა კლასთან ერთად ხელში არ აიღოს ჩაქუჩი მომავლის ბედის გამოსაჭედად.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვინც რევოლუციის მონაპოვარს აფასებს და მისთვის იბრძვის, ამ გარემოებას იგი ვერ დაივიწყებს.

სოციალიზმის იდეაც მას გვიკარნახებს, რომ ალკეპურად ცოდნით, მოვახდინოთ ბუნებრივ ძალთა და სიმდიდრეთა უტილიზაცია და დავამყაროთ ადამიანთა შორის ნორმალი ურთიერთობა. ამისათვის კი საჭიროა ცოდნა, ცოდნა და კიდევ ცოდნა.

ამიტომ ჩვენი უმთავრესი მიზანი ცოდნის ტაძრის აყვავება უნდა იყოს უნივერსიტეტის და სასწავლებლების მზრუნველობა უნდა იქნეს პირველ რიგში დასმული.

სასწავლო წელი უკვე დაიწყო და პასუხი ჩვენ ხელისუფალთ ეთქმის. ვფიქრობთ, რომ იგი გაამართლებს ხალხის იმედებს.

ხმლით მოვიგერიოდ გარეშე მტერი, ხოლო ჩაქუჩით გამოვჭედოთ ჩვენი ცხოვრების საშუალებანი.

ხმალი და ჩაქუჩი უნდა ავამოძრაოდ, რომ რევოლუციის გემმა სანაპიროს მშვიდობით მიაღწიოს.

ხერ. ამაღლობელი.

# ახალი ამბავი

— სამურთალოს მცხოვრებთა საერთო კრება დანიშნულია დღეს, სექტემბრის 11-ს საღამოს 5 საათზე სამურთალოს მუშათა კლუბში. განსახილველია: 1) სამურთალოს მცხოვრებთა შორის გავრცელებულ ავადმყოფობისაგან თავდაცვის საკითხი, 2) სადამყოფოს აფთიაქისა და ამბულანსის დახმარების საკითხი, 3) კომისიის წევრთა არჩევნები სათანადო მუშაობის გასაწევად და სხვა. მცხოვრებლებს სთხოვენ არ დააგვიანონ.

# ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

თანახმად დრ. მთავარ კომიტეტის დადგენილებისა სულ მოკლე ხანში მოწვეულ უნდა იქნეს პარტიული ყრილობა. ამიტომ ცხადდება პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ დელეგატების გამოგზავნის უფლება აქვს მხოლოდ ორგანიზაციებს, რომლებმაც მოახდინეს ხელახალი რეგისტრაცია და ა. წ. ენკენისთვის 15-მდე საგანგებო საორგანიზაციო სამეულს მოაწვდიან წერილობით შემდეგ ცნობებს: 1) როდის დასრულდა ხელ-ახალი რეგისტრაცია; 2) ძველი ორგანიზაციაა თუ ახალი; 3) რამდენი წევრი ჰყავს; 4) კომიტეტის შემადგენლობა.

საგანგებო საორგანიზაციო სამეული.

მთავარი რედაქცია.

# რუსეთი

მოსკოვი. 7 სექ. დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა სტოკჰოლმში მიიღო დამშეულთა სასარგებლოდ ერთი დიდი ფირმისაგან 10,000 კრონი, ბანკიდან 500 კრონი და უცნობისაგან 5000 კილოგრამი კარტოფილი. ფული გადაიგზავნა რიგაში სურსათის შესაძენად.

მოსკოვი. 8 სექ. 20 ნოემბერს შესდგება სრულიად რუსეთის ბეჭდვითი საქმის მუშათა ყრილობა.

მოსკოვი. 6 სექ. 1 ოქტომბერს მოწვეულ იქნება სრულიად რუსეთის განათლების მუშაკთა ყრილობა. წარმომადგენლობის ნორმა არის 3000 კაცზე ერთი.

მოსკოვი. 7 სექ. იტალიის მთავრობამ გადასწყვიტა არ აუცადოს საერთაშორისო კომისიის მოლაპარაკებას რუსეთის დამშეულთა საკითხში. გადაწყვეტილია განსაკუთრებული კრედიტის გახსნა რუსეთისათვის, რომელიც გადაირიცხება იტალიის წითელი ჯვრის განკარგულებაში, რომელმაც უნდა შექმნას ორგანიზაცია დამშეულთა დასახმარებლად. აგრეთვე გადაწყვეტილია მედიკამენტებისა და სანიტარული მატერიალის გადაგზავნა რუსეთში.

მოსკოვი. 8 სექ. მთელ ბოლგარიაში შემდგარია უკვე რუსეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტები, რომელშიაც შედიან მუშათა და პარტიათა წარმომადგენელნი.

მოსკოვი. 8 სექ. ჰოლანდიის კომპარტიამ გადასდო რუსეთის დამშეულთათვის 10,000 გულდენი.

# უცხოეთი

მცხოვრებნი ინგლისში. 1921 წლის 19 ივნისის აღწერით ინგლისს, შოტლანდიასა და უელსში ითვლება ორთავე სქესის 42.767.530 მცხოვრები. ამაში შედის ლონდონისა 7.176.166.

გაფიცვები საფრანგეთში. „ჰუმანიტეს“ ცნობებით საროვე მრეწველობის რაიონის მუშათა გაფიცვა ფართო ხასიათს იღებს. 16 აგვ. დილით ირიცხებოდა 45 ათასი გაფიცული, საღამოს კი 54 ათასი, 18 აგვ. 60 ათასი. გაფიცულებს მხარს უჭერენ სამშენებლო, ლითონის და ქიმიურ მრეწველობის მუშები. რუბეში ადგილი აქვს დემონსტრაციებს.

საკოოპერაციო ყრილობა. ბაზელში (შვეიცარია) 22 აგვ. გაიხსნა საერთაშორისო კოოპ. ყრილობა. დაესწრო სახელმწიფოთა და „ხალხთა ლიგის“ წარმომადგენლები. ბრძოლაა რუსეთის კოოპერატივების რწმუნებულის დაშვების წინააღმდეგ.

ზღვის ახალი მეფენი. ამერიკელ ადმირალის ვოტე ებელის ესკადრაში, სხვათა შორის, ზედრედნოუტებს „ნიუ-მექსიკო“-ს, „მისისიპის“ და „აიდაჰოს“ — თითო 32 ათას ტონა წყალ წყვის აქვსთ 12—14 დიუმიანი ზარბაზნები. მალე ჩაუშვებენ ოკეანეში ახალს ბუმბერაზ გემებს „კოლორადოს“, „ვაშინგტონს“, „მილირადუს“, რომელთაც თითოს 8 თექვსმეტ-დიუმიანი ზარბაზანი აქვთ. ასეთი ძალის გემები მსოფლიოში არაა.

ამერიკა და გერმანია. 25 აგვ. ბერლინში, საგარეო საქმეთა სამინისტროში ამერიკამ და გერმანიამ ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულობას.

გაფიცვები პოლონეთში. დასავლეთ პოლ. რკინისგზელთა 3 პროფკავშირებმა დაადგინეს 22 აგვ. დილის 6 საათიდან მიმართონ გაფიცვას. პოზნანსა და პომერანიაში მოძრაობა შეჩერდა. სწარმოებს მოლაპარაკება ფოსტის და ტრანსპორტის მუშების გაფიცვებისათვის.

უმუშევარნი ბერლინში. ქალაქის თვითმართველობის წინ უმუშავრებმა დიდი დემონსტრაცია მოახდინ[illegible] ფანტეს ძალით.

ანგორა. 7 სექ. ფრონტიდან [illegible] ლი ცნობით მოწინააღმდეგე [illegible] ვან იხევს.

ლონდონი. 27 აგვ. ინგლის[illegible] ის პრესის ცნობით სამხედრო ოპერაციები ანატოლიაში ბერძნების სასარგებლოდ მიმდინარეობს. ქემალისტებმა დაკარგეს მოქმედების ინიციატივა.

რომი. 1 სექტ. იტალიის გაზეთი „კორიერა დელია სერე“ აღნიშნავს, რომ ანატოლიის სამხედრო მოქმედებებმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. მოწინააღმდეგენი მთელ თავის ძალებს უკვე ხმარობენ. მდგომარეობა ორივე მხრივ იმდენად გართულდა, რომ დროა ზავის შესახებ დაისვას საკითხი. აუცილებელია, რომ ომს ბოლო მოეღოს, თორემ ორივე მხარეს დიდი ზარალი მოელის.

ნიუ-იორკი. 21 აგვისტოს პირველ რიცხვებში ნიუ-იორკში შესდგა მუშათა კავშირი. კავშირის მიზანია გააერთიანოს ამერიკის რევოლუციური ძალები. კავშირში სხვათა შორის შევიდა შემდეგი ორგანიზაციები: „საბჭოთა რუსეთის მეგობარი“ „ამერიკა-ირლანდიის შრომის ლიგა“, „ფინეთის სოციალისტური ფედერაცია“, „ამერიკის თავისუფლების ორგანიზაცია“, „უკრაინის მუშათა კლუბი“, „უნგრულ მუშათა ფედერაცია“ და სხვა.

ბუდაპეშტი. 1 სექ. რუმინეთი ახდენს ნაწილობრივად მობილიზაციას.

ტრაპიზონი. 7 სექ. „რომანოვის“ ფულის კურსი იზრდება.

სტოკჰოლმი. 6 სექ. შვეციიდან რუსეთმა მიიღო სამი პარტია ორთქმავლების, რომელნიც საბჭოთა რუსეთს ქონდა შეკვეთილი. ახლო მომავალში რუსეთში გაიგზავნება კიდევ ერთი პარტია.

ბერლინი. 1 სექტ. გაზეთ „ფორვერტსის“ ცნობით ამერიკის დამხმარე კომიტეტის დელეგატი კვირალი მიემგზავრება რუსეთში. პირველი დახმარება 5000 ტონი სურსათი რიგაში მივა 10 სექტემბერს.

რომი. 5 სექ. საზღვაო საქმეთა კომისიის სხდომაზე რომში მოსმენილ იქნა მეტად საყურადღებო განცხადება მთავრობის წარმომადგენლისაგან. საკითხის გამუქების შემდეგ მიღებულ იქნა, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს დეპუტატთა პალატა.

ანგორა. 3 სექ. ფრონტის რამოდენიმე რაიონში ხდებოდა საარტილერიო სროლა.

# ფოთის მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირი

ორი თვე იქნება მას შემდეგ, რაც ფოთის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება იყო მოწვეული პროფკავშირის ბიუროს ასარჩევად.

კრება გახსნა რევკომის თავმჯდომარემ ამხ. გოგიამ და განუმარტა დამსწრეთ პროფკავშირის მნიშვნელობა. მან სთქვა პროფკავშირმა უნდა აიღოს ხელში როგორც წარმოება, აგრეთვე ნაწარმოების განაწილებაც და სხვ...

არჩეულ იქნა ბიურო შვიდი კაცისაგან და სარევიზიო კომისია სამი კაცისაგან.

ამის შემდეგ კრება დაიხურა, რამდენიმე ხნის შემდეგ მოწვეულ იქნა თითოეული დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა კრებები ადგილობრივი კომიტეტების ასარჩევად. ადგილობრივი კომიტეტების შემდეგ არჩეულ იქნა სატარიფო კომისია.

ადგილობრივი კომიტეტები აწარმოებენ ადგილობრივი კითხვებს და თავისი ოქმებს უდგენენ პროფბიუროს.

პროფბიუროს დიდი საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრება თუ მართლა იგი ხელში აიღებს წარმოებას და ნაწარმოებთა გაწესრიგებას. ეს იმდენად სერიოზულია, რომ ბიუროს წევრები სხვა სამსახურიდან უნდა განთავისუფლდნენ და ერთად ერთ მათ სამსახურს უნდა შეადგენდეს ბიუროში მუშაობა; მაშინაც გაუჭირდება დაკისრებული მოვალეობის შესრულება.

სამწუხაროდ ეს ასე არ არის ჩვენ პროფკავშირში. პროფკავშირის წევრები არიან კიდევ სხვა რამდენიმე სამსახურში, პროფკავშირის ბიუროს წევრობა უკანასკნელ რიგად სხვათა შორის, მაშინ როდესაც ამ ამხანაგებს არა თუ რამდენიმე სერიოზული თანამდებობა, არამედ ერთი სერიოზული სამსახურის შესრულება გაუჭირდებათ.

ამის გარდა ბიუროს წევრებს სამსახურისთვის თავი დაუნებებიათ და ამათ სამაგიეროდ ვიღაცას დაუნიშნავს ახალი წევრები.

არ მოგვეპოვება არავითარი სახელმძღვანელო წესდება, ინსტრუქცია ან სხვა რამიმე ამის მსგავსი, რომლიდანაც სჩანდეს მოვალეობანი და უფლებანი ბიუროს წევრებისა და პროფკავშირის ორგანოებისა. უამისოდ შეუძლებელია იმის გაგება, თუ სად თავდება კანონიერება და სად იწყება უკანონობა.

ეს ხდება იმ თავითვე, როდესაც პროფკავშირის ჯერ კიდევ არავითარი გეგმიანობა სერიოზული და ადგილი წარმოადგენს, რა იქნება მაშინ, როდესაც ბიუროს სერიოზული სამუშაო დაეწყება თავზე.

ზოგიერთმა ადგილობრივმა კომიტეტმა მუშა-მოსამსახურეთა კატეგორიული მოთხოვნით აღძრა კითხვა ცენტრალურ ბიუროში და ითხოვს ბიუროს მხრით სათანადო ზომების მიღება შემდეგ საჭიროროტო საკითხებზე.

ა) ჯამაგირის რაოდენობის გამრავლება და დროზე დარიგება.

ბ) სურსათ-სანოვაგის გაუმჯობესობა და დროზე დარიგება, ვინაიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში სურსათი არ რიგდება და რიგდება უვარგისი სიმინდის ფქვილი უსაჭმელად.

გ) მუშა-მოსამსახურეთათვის ფეხსაცმლის მიწოდება, ვინაიდან მწვავე საჭიროებას განიცდიან.

დ) შეშის მინიმუმის უფასოდ მიცემა მოსამსახურეთათვის ფულის სახით.

იმ მოსამსახურეთ, რომელთაც ულუფა ეძლევათ სურსათის სახით და სახლში ამზადებენ ჟამუცლობლად საჭმელს თითო ოჯახზე, თვეურად მინიმუმი მოთხოვნილება შეშა თუ 48 ფუთია. ადგილობრივი სოვნარხოზი კი აძლევს მოსამსახურეთ შეშას თვეში ე. ი. 20 ათას მანეთად; ეს ხარჯი რომ დაუმტკიცენ მუშა-მოსამსახურეთათვის, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. არ დაიწევება ხაზინას მძიმე ტვირთად თუ კი შეშა მიეცემათ მოთხოვნილი საჭირო ოჯახში თვეში იმ წესით, როგორც „მაიდი“ ძლევა; ესე იგი ოჯახს მიეცემა ერთი ნორმა მიუხედავად იმისა თუ რამდენი კაცია ამ ოჯახიდან საბჭოთა სამსახურში; ხოლო იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომლებიც იღებენ სადილობებში დამზადებულ ულუფას ეს შეშა არ მიეცემათ. ამ სახით დაცული იქნება სამართლიანობაც და ხაზინის ინტერესებიც.

მაგრამ ამ შეამდგომლობათა შესახებ პროფბიუროს მხრით ზომები ჯერ არ არის მიღებული. მუშა მოსამსახურენი კი უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებიან.

მოსამსახურე.

# საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის დრ. მთავარი კომიტეტი იწვევს ქ. ტფილისში პარტიულ ყრილობას

განსახილველი საკითხები:

1. დრ. მთავარ კომიტეტის მოქმედება—მომხსენებელი ამხ. [illegible]
2. მოხსენებანი ადგილებიდან.
3. პარტიის უახლოესი პრაქტიკული მიზნები—მომხ. ამხ. პარმენ ჭანიშვილი.
4. საერთაშორისო მდგომარეობა და საქართველო—მომხს. ამხ. თ. ღლონტი.
5. ინტერნაციონალი—მომხსენებელი ამხ. სიმონ ხუნდაძე.
6. საბჭოთა სისტემა—მომხსენებელი ამხ. ვახტანგ კოტეტიშვილი.
7. პროფკავშირები და კოოპერაცია—მომხს. ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილი.
8. ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი—მომხს. ამხ სერგო ამაღლობელი.
9. წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა.

ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით დელეგატი გამოიგზავნება მხოლოდ პარტიის წესდების მე-23 მუხლის მიხედვით. ქალთა, ახალგაზრდათა და პროფესიის წარმომადგენლებს მიეცემათ სათათბირო ხმის უფლება.

ყრილობაზე დელეგატები იგზავნება 100 წევრზე ერთი. თუ ორგანიზაციას არა ჰყავს სრული ასი წევრი, მაინც გზავნის ერთ დელეგატს.

ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ადგილობრივ ორგანიზაციებს შეუძლია აღძრას ყრილობისათვის სხვა და სხვა საკითხი 20 ენკენისთვემდე.

საყრილობო საკითხს ამტკიცებს დრ. მთავარი კომიტეტი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.



[illegible] „[illegible]“ [illegible]
ნ. დ. ს. ც.